# ინვესტიციების როლი საქართველოს რეგიონების ცხოვრების დონის ამაღლებაში

*ქეთი დორეული,* სტუ-ს დოქტორანტი


## რეზიუმე

ნაშრომი მოიცავს კავშირს უცხოურ ინვესტიციებს, ქართულ ბანკებს, საქართველოს რეგიონებსა და მცირე და საშუალო ბიზნესებს შორის.

ბანკები წარმოადგენენ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ჯაჭვის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. ვინაიდან ისინი არიან სწორედ ის ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ კაპიტალის სწორად გადანაწილებას ეკონომიკაში. როდესაც ეს ორგანიზაციები სწორად ფუნქციონირებს, მაშინ ეკონომიკაც ჯანსაღად ფუნქციონირებს და ზრდაც შესაბამისია, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის შიდა ფუნქციონირებისთვის ასევე მის საზღვრებს გარეთ.

რამდენიმე რესურსი არსებობს ბანკებისთვის თავიანთი კაპიტალის მოძიებისა, რომელიც შემდგომ გამოიყენება სხვადასხვა საქმიანობისთვის და მომგებიანი ბიზნესის წარმოებისთვის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როდესაც ხდება უცხოური კაპიტალის შემოდინება, ეს კაპიტალი უფრო ფართო მასშტაბიანია, ვინაიდან კაპიტალი საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე უფრო უხვად მოიპოვება. ასევე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კაპიტალი უცხოურ ბაზარზე, მისი სიუხვის გამო, შედარებით უფრო იაფია - ვიდრე ადგილობრივად არსებული რესურსები. თუმცა, როდესაც ქვეყნის კომერციული ბანკები ცდილობენ უცხოური რესურსების მოზიდვას, კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე ჩნდება დამატებითი კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ხდება ბანკის კრედიტუნარიანობისა და საპროცენტო განაკვეთის დადგენა, და მათ შორის არის ქვეყნისა და პოლიტიკური რისკი, რომელიც მეტ-წილად არის იგნორირებული ადგილობრივი კაპიტალის წყაროების მოძიებისას.

უცხოურ კაპიტალს, განსაკუთრებით იმას, რომელიც არის მიღებული კრედიტის სახით, ახასიათებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც ძნელად მოპოვებადი არის საქართველოში, და ეს თვისება არის გრძელვადიანობა. როდესაც ბანკი იღებს ვალდებულებას, სასურველია მას ჰქონდეს გრძელვადიანი პერიოდი, რომ მოახდინოს ამ თანხის ეფექტურად გამოყენება სარგებლისთვის და ასევე იმ პროცესების ხელშეწყობისთვის, რომლის ფუნქციაც ბანკებს აკისრიათ.

## Summary

The thesis studies connections between foreign investments, Georgian banks, Georgian Regions and Small and Medium Size businesses.

Banks represent one of the most important parts of the economic chain of every country, as they represent organisms which help the correct and appropriate distribution of capital in the economy. When this organism functions correctly, then economy functions in a healthy manner and growth is adequate, which is very important both within and outside the country.

There are a few resources for banks in the ways of obtaining capital, which can later be used for different activities and and for running profitable businesses.

It is notable, that when the inflow of the foreign capital happens, it is larger in its proportion, as capital is available in larger quantities in the international capital market. It is also notable, that the capital in the foreign capital maket, due to its volume, is relatively cheaper compared to the domestically available resources. Though, when the commercial banks attempt to attract foreign capital, additional criteria of evaluation appear in the foreign capital maket. These criteria help to identify the creditworthiness of banks and also the riskiness of the banks, which later affects the interest rate charged. These criteria include country and political risks, which is most frequently ignored when attempting to obtain the funds domestically.

Foreign capital, especially one, which is obtained through the means of loan, is characterized by one additional feature, which is hard to find in Georgia. This feature is its long-term availability. When the bank undertakes obligations, it is desirable to have longer term for the effective use of resources for its own benefit and for the facilitation of activities, which are the primary function of the banks.


********

საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვის პროგრამები ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც ერთნაირად დააზიანა როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნები, დიდი გავლენა იქონია კავკასიის რეგიონების განვითარებაზე. რთული გახდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

საქართველო მიჩნეულია, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა,ესეთი ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხოური კაპიტალი. მნიშვნელოვანია ამ კაპიტალის სწორად განაწილება საქართველოს რეგიონების განვითარების კუთხით,